# საქართველოს სოფლის სპორტსმენები — III საპრიზო ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამთავრდა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშები. კიშინიოვის ფიცარნაგზე დავა დაასრულეს ძალოსნებმა. კარგად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები დ. ხიზამბარელი (მძიმე წონა) და ა. ჭეჭელავა (ნახევრადმძიმე). პირველმა მხოლოდ შესანიშნავ საბჭოთა ათლეტთან ი. ტალტსთან წააგო და ისიც სულ რაღაც 15 კილოგრამით. ხიზამბარელის მაჩვენებელია 495 კგ. ჭეჭელავა მისთვის უჩვეულო წონაში გამოდიოდა, მაგრამ გამარჯვება არ გასჭირვებია: სამჭიდში მან 520 კგ დააგროვა და უახლოეს მეტოქეს 12,5 კგ მოუგო.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს სხვა წონით კატეგორიებში: ქვესაშუალო — ა. კოვალევსკი (ბელორუსია) — 482,5 კგ, საშუალო — ა. შიშკიავიჩუსი (ლიტვა) — 445, ქვემძიმე — ა. პრიცი (ბელორუსია) — 487,5.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რსფსრ-ს ძალოსნებმა.

აქვე მიმდინარეობდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრება. ბრწყინვალედ იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნე მოჭიდავეებმა, რომლებმაც გუნდური I ადგილი მოიხვეჭეს. II ადგილზე გავიდნენ რსფსრ-ს სპორტსმენები, III — სომხეთის წარმომადგენლები.

თავიანთ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: ა. ოჰანესიანი (სომხეთი), გ. გიორგაძე (საქართველო), ვ. კარპოვი (რსფსრ), ა. ბუგუბაევი (ყაზახეთი), ლ. ხუგაევი, რ. აშურალიევი (ორივე—რსფსრ), პ. ტავასიევი (უკრაინა), ი. გამზათოვი (რსფსრ), ა. ცბოვრებოვი (საქართველო) და დ. ოგოროდნიკოვი (უკრაინა).

საპრიზო ადგილებზე გავიდნენ საქართველოს სხვა მოჭიდავენიც: რ. დობორჯგინიძე (57 კგ) III ადგილზეა, დ. ნიპარიშვილი (62) — II, ო. კანდელაკი (100 კგ-ს ზევით) — II.

ვილიანდიში ფრენბურთელ ვაჟთა ტურნირი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მოიგეს და ჩემპიონებიც გახდნენ. II ადგილზე გავიდნენ უკრაინელები, ხოლო III — რსფსრ-ს სპორტსმენები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში დამაჯერებლად გაიმარჯვეს რსფსრ-ს სოფლის სპორტსმენებმა — 13 საჯარიმო ქულა. II ადგილზე გავიდნენ უკრაინელები (20), ხოლო III — საქართველოს წარმომადგენლები (30).

დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: ესტონეთი, ბელორუსია, ლატვია, მოლდავეთი, ლიტვა, სომხეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 233 (4227)

1970 წ. 28 ნოემბერი. შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

კარგი სტრიქონები

## დიდი გადაჭარბებით

ამიერკავკასიის რკინიგზის „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხუთწლიანი გეგმა-ვალდებულება. 64 სპორტის ოსტატის ნაცვლად მომზადებულია 77, სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და I თანრიგის ნორმატივები შეასრულა 1027-მა კაცმა, რაც გეგმაზე 387-ით მეტია.

გეგმა სხვა თანრიგების 18900 ფიზკულტურელის მომზადებას ითვალისწინებდა, სინამდვილეში კი 24790 კაცი მომზადდა. იმავე, „მზად ვართ სამშობლოს დასაცავად" კომპლექსების 15000 ნიშნოსნის მაგიერ მომზადებულია 15125 ნიშნოსანი. ასევე დიდი გადამეტებით შესრულდა საზოგადოებრივი ინსტრუქტორების, მწვრთნელებისა და მსაჯების მომზადების ვალდებულებანი.

საქართველოს სსრ რკინიგზებსა და მშენებლობებზე მომუშავეთა 46 პროცენტი საწარმოო ტანვარჯიშშია ჩაბმული.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთა მომზადება გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა, მაგრამ „ლოკომოტივმა" ერთი საერთაშორისო კლასის ოსტატი მოამზადა.

თ. კაჭახიძე,
„ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს თავმჯდომარე.

გუშინწინ ვარკეთილში, არმიელ მონადირეთა საზოგადოების სასროლეთზე დაიწყო ჩემპიონთა ტურნირი სასტენდო სროლაში. შეჯიბრებაში სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების 14 გუნდი მონაწილეობს. პირველივე დღეს თავი გამოიჩინა მოსკოვის არმიელმა ი. გულევმა, რომელმაც ადგილიდან პირველ აცილებამდე სროლაში 90 ქულა მოაგროვა და საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. შეჯიბრება კვირას დამთავრდება.

**სიდნეი,** 26 ნოემბერი. ავსტრალიელ მძლეოსანთა შეჯიბრებაში 17 წლის ლ. ტილეტმა 60 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა — 7,1 წამი. ძველი რეკორდი (7,2) მის თანამემამულე ბ. კილბორნს ეკუთვნოდა, რომელიც საბჭოთა სპორტსმენმა ი. ტუროვამ 1960 წელს გაიმეორა.

**კოსფორდი,** 26 ნოემბერი. ინგლისელ მძლეოსანთა შეჯიბრებაში მარგარეტ ბიჩემ 1000 მ 2 წუთსა და 46,5 წამში გაირბინა, რაც 8 წამით სჯობს ძველ მსოფლიო რეკორდს.



კაუნასი. სსრ კავშირის ჩემპიონატი კრივში. ფინალური შეხვედრა ქვეყნის ჩემპიონის წოდებისთვის მეორე ქვესაშუალო წონაში ვ. ნოვიკოვსა (ხარკოვი) და ა. აბდრახმანოვს (ალმა-ათა) შორის.

გაიმარჯვა აბდრახმანოვმა (მარჯვნივ), რომელმაც ჩაყოველთაო ყურადღება მიიქცია დამაჯერებელი მოგებებით, მათ შორის, მეხიკოს ბრინჯაოს პრიზიორის ვ. მუსალიმოვის დამარცხებით.

ვ. შანდრინისა და მ. ოგაის ფოტო (საქდესი).

... $19^{45}$

◆ **ტიმიშოარა,** 27 ნოემბერი. ხელბურთელ ქალთა გუნდების აქ მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში „კარპატის თასზე" საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დაამარცხა პოლონეთის ეროვნული გუნდი — 17:10 (8:8). თავი გამოიჩინა ვ. ქივიხმა, რომელმაც მეტოქის კარის ბადეში 10 ბურთი მოათავსა. ამ დღეს გდრ-ის ნაკრებმა სძლია ჩეხოსლოვაკიის გუნდს — 20:10, რუმინელებმა მოუგეს უნგრელებს — 13:11, იუგოსლაველებმა — რუმინეთის ახალგაზრდულ კოლექტივს — 10:8.

# ცსკა-ს წაგება

25 და 26 ნოემბერს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

**მოსკოვი.** ადგილობრივი და თბილისის დინამოელთა შეხვედრამ კალათბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ცსკა-სთან წაგების შემდეგ მოსკოვის დინამოელებმა საგრძნობლად ფხიზლად ითამაშეს დაცვაში, რამაც თავიდანვე მათთვის სასურველი შედეგი გამოიღო — ისინი დაწინაურდნენ. შემდგომში უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა. პირველი ტაიმი მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა — 41:36.

შესვენების შემდგომი 20 წუთიც მძაფრი ბრძოლით აღინიშნა. მოსკოველთა უმნიშვნელო უპირატესობამ ბრძოლის ბედი საბოლოოდ მათს სასარგებლოდ გადაწყვიტა — 95:85.

**კაუნასი.** სატურნირო ცხრილში პირველი ქულა ჩაიწერა „ჟალგირისმა". მისი მეტოქე იყო საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტი — მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდი. ლიტველებმა ალმაცერობით ითამაშეს — 80:66 (37:29).

**კიევი.** მოულოდნელი შედეგით დამთავრდა ადგილობრივი არმიელების მატჩი ტარტუს „კალევთან". უკრაინელებმა, რომლებიც წლეულს უმაღლეს ლიგაში დარჩენას ისახავენ მიზნად, მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვეს — 82:70 (46:42).

**რიგა.** ადგილობრივ არმიელთა კოლექტივმა გასული საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს — ლენინგრადის „სპარტაკს" უმასპინძლა. სტუმრებმა გადამწყვეტ უპირატესობას მხოლოდ შესვენების შემდეგ მიაღწიეს — 70:57. შესვენებამდე კი მათი მდგომარეობა სათუო იყო — 36:33.

**კიევი.** საკავშირო ჩემპიონატის მთავარი სენსაციის ავტორი ბრინჯაოს პრიზიორი „სტროიტელი" გახდა, რომელმაც გუშინწინ ცსკა-ს უმასპინძლა. უკრაინელებმა მეტოქის მაღალ ოსტატობას მონდომება და დიდი ბრძოლისუნარიანობა დაუპირისპირეს: სსრ კავშირის ჩემპიონმა სატურნირო ცხრილში პირველი ნული ჩაიწერა — 55:58.

**რიგა.** ერთწლიანი შესვენების შემდეგ უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა ვეფ-ი, რომლის მთავარ ამოცანას შეადგენს რაც შეიძლება ხანგრძლივად შეინარჩუნოს ეს საპატიო უფლება. გუშინწინ მან პირველი ნაბიჯი გადადგა მიზნისკენ — დაამარცხა თბილისის „ბურევესტნიკი" — 76:70.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სტროიტელი" (კიევი) | 2 | 2 | 0 | 147—116 | 2 |
| ცსკა | 3 | 2 | 1 | 221—202 | 2 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 1 | 1 | 0 | 80—66 | 1 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 2 | 1 | 1 | 140—130 | 1 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 2 | 1 | 1 | 173—164 | 1 |
| ვეფ (რიგა) | 2 | 1 | 1 | 147—144 | 1 |
| „კალევი" (ტარტუ) | 2 | 1 | 1 | 143—152 | 1 |
| ასკ (რიგა) | 2 | 1 | 1 | 131—141 | 1 |
| ასკ (კიევი) | 2 | 1 | 1 | 143—159 | 1 |
| „დინამო" (თბილისი) | 1 | 0 | 1 | 85—95 | 0 |
| რტი (მინსკი) | 1 | 0 | 1 | 66—80 | 0 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 2 | 0 | 2 | 136—163 | 0 |

სსრ კავშირის XXXVIII ჩემპიონატი კალათბურთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი —

## სპარტაკიადებისთვის მზადება




# დიდი გარხა გველის




ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში ცხაკაიაში გამართულ რესპუბლიკურ პირად-გუნდურ პირველობაში თბილისის, ცხაკაიას, ზუგდიდის, სოხუმის, გალისა და სხვა რაიონების ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. ისევე, როგორც წლეულს აპრილში ჩატარებულ შეჯიბრებაში (თბილისი), გუდაუთელები აქაც არ ჩამოსულან. საწყენი კია, ვინაიდან ორი-სამი წლის წინ გუდაუთელი მხედრები ერთ-ერთი საუკეთესონი იყვნენ რესპუბლიკაში და ნაკრების ერთ-ერთ მთავარ ბირთვად გვევლინებოდნენ. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს გუდაუთელები შეგნებულად გაურბიან რესპუბლიკურ შეჯიბრებებს, „თავი გამოიჩინეს" ოჩამჩირელებმაც, რომლებმაც სწორედ ამ პერიოდში გამართეს რაიონული ტურნირი — ჩვენი ლონისძიება გვაქვს და საქართველოს პირველობაში ვერ გამოვალთო (!).

ცხაკაიელებმა შეჯიბრებას კარგად უმასპინძლეს. შესანიშნავად იყო გაკეთებული კროსის ტრასები, დაბრკოლებათა კომპლექტები. მასპინძელთა იპოდრომი ერთ-ერთი საუკეთესოა რესპუბლიკაში. აქ სამჭიდის კროსებისთვის ტრასების შერჩევის დიდი შესაძლებლობებია.

ასპარეზობდნენ ძირითადად იმ სახეობებში, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის პროგრამაშია. ამიტომ გასაგებია ის დიდი ინტერესი, რაც მწვრთნელებმა, მოასპარეზეებმა და სხვა სპეციალისტებმა ამ შეჯიბრებისადმი გამოიჩინეს.

შეჯიბრება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პირობებისთვის რომ მიგვეახლოვებინა, ცხენის გაწვრთნის უმაღლეს კლასში მოსკოვიდან სამსაჯოდ მოიწვიეს სახელგანთქმული სპეციალისტები — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები გ. როგოლოვი და გ. მიშინი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ე. ლევინი, რომელიც დაბრკოლებათა გადალახვის ზოლს ადგენს საკავშირო ტურნირებში.

შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებს წერილის ბოლოს გაგაცნობთ, ახლა კი ვსარგებლობ შემთხვევით და მსურს საცხენოსნო სპორტის მოყვარულთ გავაცნო რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის დღევანდელი და პოტენციური შესაძლებლობები. თვალს თუ გადავავლებთ წარსულ სპარტაკიადებს, ჩვენი ცხენოსნები მუდამ არასახარბიელო ადგილებზე გამოდიოდნენ. მაგალითად, 1956 წელს VIII ადგილზე ვიყავით, 1959 წელს — X, 1963 წელს — IX, 1967 წელს — VIII. ჩვენი აზრით, ეს წარუმატებლობა შემდეგმა გარემოებებმა განაპირობა: წვრთნის პროცესის უსწორო დაგეგმვა-წარმართვამ, უმრავლეს სპორტსმენთა ტექნიკურ-ტაქტიკური და ფიზიკური მომზადების დაბალმა დონემ... ნაკრები სხვადასხვა რაიონის წარმომადგენელთაგან კომპლექტდებოდა და მისი წევრები წვრთნას ძირითადად ადგილებზე გადიოდნენ, ესე იგი, ერთად, კოლექტიურად კი არ იწვრთნებოდნენ, არამედ უსისტემოდ, უგეგმოდ, ბევრგან არაკვალიფიციური მწვრთნელების ხელმძღვანელობით. მხედველობაშია მისაღები, აგრეთვე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, მოუწყობელი მოედნები, დაბრკოლებების არასრული და უხარისხო კომპლექტები. არ გაგვაჩნდა დახურული მანეჟი, უკმარი გვქონდა ცხენმოკაზმულობა, სუსტი იყო ცხენთა შემადგენლობაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ნაკრებში დაბალ დონეზე იდგა აღმზრდელობითი მუშაობა.

რა მდგომარეობაა დღეს? საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დიდი შრომა გასწია, სპორტული ცხენების საყიდლად გამოყო თანხა. ამ ცხენთაგან ზოგიერთი ტოლს არ დაუდებს მთელს კავშირში განთქმულ ბედაურებს. ამენდა და მოკლე ხანში მწყობრში ჩადგება საუცხოო დახურული მანეჟი, რაც სისტემატური საწვრთნელი პროცესის რეგულირების საშუალებას მოგვცემს.

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის გუნდის დაკომპლექტების, კანდიდატთა შერჩევისა და გამოცდილების შეძენის მიზნით ჩვენმა ნაკრებმა წლეულს რამდენიმე შეჯიბრებაში იასპარეზა და საკმაო წარმატებითაც: კოსტრომაში რსფსრ-ს პირველობაში ჩვენმა კონკურისტებმა გ. მარეიკომ, ქ. გაშიბაიაზოვმა, ა. კრაინენკომ დაბრკოლებათა გადალახვაში თასი მოიპოვეს, პირად ტურნირში კი მარეიკომ I, ხოლო გაშიბაიაზოვმა III ადგილი დაიკავა. სსრ კავშირის პირველობაში (მოსკოვი) ამ სამეულმა V ადგილი აიღო, ხოლო მარეიკომ პირად პირველობაში — III. მინსკში საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს თასისთვის გამართულ გუნდურ შეჯიბრებაში ჩვენებმა II ადგილი დაიკავეს, ასევე მეორე იყო პირად ჩათვლაში მარეიკო. ამორჩევით დაბრკოლებათა გადალახვაში ჩემპიონი გახდა დ. მალანია, ხოლო 6 დაბრკოლების გადალახვაში III ადგილზე გავიდა ო. ჯაფარიძე.

ზემოჩამოთვლილი შეჯიბრებები დონით სპარტაკიადის მოთხოვნებს უახლოვდება, მაგრამ ყველა ეს მიღწევა კონკურისტების კუთვნილებაა.

სულ სხვა მდგომარეობაა სამჭიდში. სადღეისოდ პირველ ნომრად უნდა ჩაითვალოს დ. ხოფერია, რომელსაც ტექნიკით, ტაქტიკით, გამოცდილებით, საოცარი სპორტული ინტუიციითა და, რაც მთავარია, გამარჯვებისადმი სწრაფვით რესპუბლიკაში ბადალი არა ჰყავს. ასევე შესანიშნავი სამჭიდელი გახლდათ ა. მანჯავიძე, რომელსაც მაღალ ტექნიკასთან ერთად მუდამ ჰქონდა დიდი სპორტული ჟინი. მაგრამ მანჯავიძემ სამჭიდს თავი დაანება და რადიკალურად საწინააღმდეგო სახეობაში — ცხენის გაწვრთნის უმაღლეს სკოლაში დაიწყო ვარჯიში. დანარჩენ სამჭიდელებზე მ. წურწუმიაზე, ა. შუპლეცოვზე, თ. ჩანტლაძეზე, რ. მესტვირიშვილზე, ვ. ბერეჟნოიზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით, ვინაიდან ჯერჯერობით ზოგ მათგანს გამოცდილება აკლია, ზოგს ტექნიკა, საკუთარი ძალის რწმენა და ა. შ.

რაც შეეხება ცხენის გაწვრთნის უმაღლეს სკოლას, ეს ჩვენი მხედრებისთვის მუდამ „აქილევსის ქუსლი" იყო. ეს ის სახეობა გახლავთ, რომელშიც საბჭოთა ცხენოსნებმა საქვეყნოდ გაითქვეს სახელი.

სსრ კავშირში ძალიან ძლიერი სკოლაა ცხენოსნობის ამ სახეობაში, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ნ. სიტკოს. ახლა იგი თბილისშია მოწვეული საქართველოს გუნდის მწვრთნელად. ვიმედოვნებთ, რომ მისი მოღვაწეობა ნაყოფს გამოიღებს, მით უმეტეს, რომ ნაკრების კანდიდატები ვ. პალაეტიდი, ვ. ოძელაშვილი, ა. მანჯავიძე და ქ. ჟორჟაძე საკმაოდ ნიჭიერი სპორტსმენები არიან.

ამ ბოლო ხანს მოპოვებული მიღწევების მიუხედავად უნდა აღინიშნოს ნარევეზები, რომელთა აღმოფხვრა დიდ ჯაფას მოითხოვს.

ცხაკაიაში ასპარეზობისას მსაჯები ბირდაპირ გააოცა ცხენისადმი ზოგიერთი მხედრის უხეშობამ. ერთ-ერთმა მოსკოველმა მსაჯმა სინანულით შენიშნა: ქართველები ბუნებით კეთილი და ვაჟკაცური ხალხი რომ არიან, ვიცოდი და ცხენისადმი მათი ასეთი უდიერი მოპყრობა ვერაფრით ამიხსნიაო.

ჩვენ კი გვგონია, რომ ამ უხეშობის უკან უფრო სერიოზული ნაკლი იმალება, რომელსაც უვიცობა შეიძლება ვუწოდოთ. უბრალო ფაქტი: მხედარმა დაბრკოლება ვერ გადალახა და შეჯიბრებიდან მოიხსნა. იგი მოედნიდან გადის, მიდის თავლასთან და გამეტებით სცემს ცხენს. ცხენსაც, ცხადია, შესაბამისი რეაქცია უმუშავდება — ამგვარი გაწვრთნით ყალიბდება უხასიათო, ჯიუტი ცხენი. სულ სხვაა, როცა ცხენს დარღვევის ადგილზე სჯი. მხედრის მოქმედება მაშინ ლოგიკურია და ცხენსაც შესაფერისი პირობითი რეფლექსი უმუშავდება. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ მხედრები არ იცნობენ საცხენოსნო სპორტის ფიზიოლოგიურ საფუძვლებს, არა აქვთ სათანადო თეორიული ცოდნა, ვერ ერკვევიან არა მარტო ცხენის ფიზიოლოგიაში, არამედ საცხენოსნო სპორტის ელემენტარულ საკითხებში. ასეთი მხედრების ოსტატობა ზერელე სწავლაზეა აგებული და კუსტარულობის ელფერს ატარებს.

სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს მხედართა სუსტი ფიზიკური მომზადება. ზოგიერთი სპეციალისტი ფიქრობს, რომ მხედარს არ მოეთხოვება ისეთი ფიზიკური ძალა და გამძლეობა, როგორიც სხვა სახეობების წარმომადგენლებს. აქაოდა ცხენოსნობაში ძირითად სამუშაოს ცხენი ასრულებს, მხედარი კი მხოლოდ მართავს ცხენსო.

ეს უდავოდ მცდარი აზრია. ამ მხრივ დიდი შრომა გასწია სოხუმში კომპლექსურმა სამეცნიერო ბრიგადამ, რომელშიც ქართველ მეცნიერ-მუშაკებთან ერთად მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კარდიოლოგიის საპრობლემო ლაბორატორიის მუშაკებიც შედიოდნენ. ტელეელექტროკარდიოგრაფის საშუალებით სინქრონულად ჩაიწერეს მხედრისა და ცხენის გულის მუშაობა უშუალოდ დატვირთვის დროს და დაადგინეს, რომ ჩვეულებრივ წვრთნის პირობებში საშუალო სირთულის დაბრკოლებათა გავლისას მხედრის გულისცემა წუთში 196–204-ს აღწევს. გერმანელი მეცნიერის ლ. ზასანის დაკვირვებით გულისცემის ასეთი დიდი გახშირება ხდება 2000 მეტრზე ნიჩბოსანთა შეჯიბრებისას ანდა მძლეოსნის 5000 მეტრზე რბენისას. ასე რომ, ცხენოსანს გულსისხლძარღვთა სისტემის დიდი დაძაბვა უწევს, რაზეც უნდა დაფიქრდნენ მწვრთნელები და შესაბამისად შეცვალონ წვრთნის მეთოდი. ამავე დროს, როგორი გამოცდილი და ტექნიკური მხედარიც უნდა იყოს, თუ მას შესაფერისი ფიზიკური მომზადება არ აქვს, მალე იღლება და ზერელე, ხშირ და უთანაბრო სუნთქვას იწყებს, რაც, თავის მხრივ, სხეულის ცალკეული ნაწილების დროებით და ნაწილობრივ შებოჭვას იწვევს. ამის გამო ირღვევა სწორი ჯდომა, წონასწორობის ბალანსი, მხედრის სიმძიმის ცენტრი წონასწორობაში ვერაა ცხენთან, ირღვევა კონტაქტი მხედარსა და ცხენს შორის, რასაც მოსდევს სპორტსმენის ასინქრონული მოძრაობები — ნაცვლად იმისა, რომ მხედარი ცხენისთვის მამოძრავებელი ძალა იყოს, მისთვის ზედმეტ ტვირთად იქცევა. ერთი სიტყვით, საერთო ფიზიკურ მომზადებას მხედრისთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

გუნდის სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს სუსტი დისციპლინა, რეჟიმის ხშირი და უხეში დარღვევა. მხედართა შორის ცოტა როდია ისეთი, რომელიც მოკლებულია სპორტულ კულტურას, წარმოდგენა არა აქვს საექიმო და თვითკონტროლზე. მაგალითად, სხვანაირად როგორ ავხსნათ ნ. ლამბაროვის საქციელი, რომელმაც ხტომებში შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სარბიელიდან გასვლა ვერცკი მოასწრო, პაპიროსი ამოიღო და, ცხენზე ამხედრებულმა, მსაჯების წინ უდიერად გააბოლა.

გუნდში არ იგრძნობა კოლექტიურობა, უფროს-უმცროსობა. აი, მხედარმა ერთ სახეობაში იასპარეზა და მეორე ცხენის მომზადებაა საჭირო. მას გუნდის არც ერთი წევრი არ ეხმარება მოსახმარებლად.

რაც მთავარია, ბევრი სპორტსმენი მოკლებულია პატრიოტულ გრძნობას როგორც თავისი სახეობისადმი, ისე მშობლიური რესპუბლიკისადმი. მხედრები, მცირე გამონაკლისის გარდა, საოცრად სუსტად არიან მომზადებული საერთო განათლების სფეროში.

რაც შეეხება სავარჯიშო მოედნის გრუნტს, ისიც მოსაწესრიგებელია, თორემ მოსალოდნელია ცხენის ტრავმები. მოსაგვარებელია დაბრკოლებათა ტიპიური კომპლექტის გაკეთება. ბოლო უნდა მოეღოს ფორმალური ვარჯიშის შემთხვევებს, მეტი პასუხისმგებლობით უნდა იმუშაონ მწვრთნელებმა, აუცილებელია სამატჩო შეხვედრების სისტემატური გამართვა.

საკავშირო სპარტაკიადამდე ცოტა დროა დარჩენილი და რესპუბლიკის ნაკრების სპორტსმენებსა და მწვრთნელებს დიდი გარჯა ელით, რათა ზემოაღნიშნული ნარევეზები დროულად აღმოიფხვრას.

**დ. წვერავა,**
ცხენოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

### ტექნიკური შედეგები

**დაბრკოლებათა გადალახვა.** „გახსნის პრიზი" (მ. ერისთავის სახელობის თასი): 1. გ. მარეიკო (ცხენი „გოკნარი"), 2. ა. მიქაელიანი (სოხუმი, „სანგვინიკი"), 3. ო. ჯაფარიძე (ზუგდიდი, „გაერი"). „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს თასი": 1. ქ. გაშიბაიაზოვი („პერგამენტი"), 2. პ. ერმოლენკო (გულრიფში, „ბარვინიკი").

**ხტომები.** „საქართველოს თასი": 1. ო. ჯაფარიძე („გაერი"), 2. დ. მალანია („ვიბრატორი"), 3. ქ. გაშიბაიაზოვი („ჩემპიონი"). „6 დაბრკოლება": 1. მ. მარქარიანი (გულრიფში, „პოსეიდონი").

**ცხენის გაწვრთნა.** „უმაღლესი სკოლა". „დიდი პრიზი": 1. ვ. პალაეტიდი („კარბეი"), 2. ვ. ოძელაშვილი („პოველეიუკი"), 3. დ. კოლესნიკოვი („სმელჩუკი"); „მცირე პრიზი": 1. ვ. პალაეტიდი, 2. ვ. ოძელაშვილი, 3. დ. კანკია („დიპარი").

**სამჭიდი.** ძირითადი: 1. დ. ხოფერია („რიველინი"), 2. თ. ჩანტლაძე („ასტეროიდი"), 3. ა. მესხი („ცეკი"); ახალგაზრდა ცხენები: 1. თ. ჩანტლაძე („ხარიბდა"), 2. მ. ტატიშვილი („ვსპლესკი"), 3. გ. მარეიკო („ეკვატორი").

2 და 6 კმ-ზე დოღში პირველი იყო ი. ნანავა (ზუგდიდი, „გრადუსნიკი").

ბოლოიჯირებაში გაიმარჯვა ნ. ლაბაშიამ (გალი).

**გუნდური:** 1. თბილისი, 2. ცხაკაია, 3. ზუგდიდი.

• • •



• სურათზე: ცხაკაიელი დ. მალანია ასპარეზობის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## თანამშრომლობა მტკიცდება

**რომი, 26 ნოემბერი.** სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის თავმჯდომარის მოადგილე, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მუდმივი გენერალური ასამბლეის აღმასკომის წევრი ვ. სმირნოვი შეხვდა იტალიის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეს და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მუდმივი გენერალური ასამბლეის პრეზიდენტს ჯ. ონესტის.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა ოფიციალური კომუნიკე, სადაც აღნიშნულია, რომ საუბრის პერიოდში განხილული იყო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების გენერალური ასამბლეის მოღვაწეობის საკითხები, აგრეთვე, იტალიისა და საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ კომიტეტებს შორის კონკრეტული, ტექნიკური და ორგანიზაციული თანამშრომლობის პრობლემები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები საფეხბურთო სეზონის...

# 2. ასე არ შეიძლება გაგრძელდეს!

შეცდომები, შეცდომები... მომავალში მდგომარეობის გამოსწორებისთვის უნდა ვიცოდეთ მათი ხასიათი, ვიცოდეთ, რამ გამოიწვია და ვინ დაუშვა ეს შეცდომები. საბჭოთა ნაკრებმა სათანადოდ ვერ გამოიყენა თავისი შანსები. რომ გამოეყენებინა? საკმარისი იყო ეს ნამდვილი წარმატებისთვის? გუნდის ამხანაგურმა შეხვედრებმა მსოფლიო ჩემპიონატის წინ მაინცდამაინც კარგი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. მაგრამ ჩვენ დაჟინებით გვარწმუნებდნენ: საკუთარ თვალებს არ დაუჯეროთ, ჩვენს სიტყვებს ენდეთ. ბოლონეთის გუნდთან წაგების შემდეგ ისიც კი მოიგონეს, თითქოს ნაკრები საგანგებოდ მალავდა თამაშის სტილს, ფეხბურთელები კი თითქოს საკუთარ ფეხებს უფრთხილდებოდნენ. ერთი სიტყვით, ოპტიმისტური განცხადებები არ გვაკლდა. მაგალითად, ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მაშინდელი მოადგილის ე. გორიანსკის აზრი ასეთი იყო: „1970 წლის ნაკრებს შეუძლია საპრიზო ადგილი დაისაკუთროს მეხიკოში". გ. კაჩალინი ამბობდა (ინტერვიუ მეხიკოში): „... მე არ მინდა ამით ვთქვა, რომ ბრაზილიელებს გამარჯვების შანსი არა აქვთ, მაგრამ ჩემპიონობის მოპოვება შეუძლიათ სხვა მონაწილეებსაც, მათ შორის, საბჭოთა გუნდსაც". როგორც ხედავთ, ბრაზილიელი და საბჭოთა ფეხბურთელები ერთ ტაფაში არიან მოქცეული.

სამწუხაროდ, ხელმძღვანელთა გავლენით საკუთარ შესაძლებლობებზე დიდი შთაბეჭდილება შეექმნათ ფეხბურთელებსაც. გაიხსენეთ ინტერვიუ, რომელიც მეხიკოში გაფრენის წინ გუნდს „ფუტბოლ-ჰოკეიმ" ჩამოართვა. რა მოურიდებლად, თამამად, გაზვიადებულად ლაპარაკობდნენ ფეხბურთელები. ზოგი აშკარად ჩემპიონის ტიტულზე ფიქრობდა, ზოგი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა ნაკრები ტექნიკით არც ერთ გუნდს არ ჩამოუვარდებოდა, ფიზიკური მომზადებით კი ყველას სჯობდა. ზოგი პირდაპირ ბრაზილიელებთან გატოლებას ოცნებობდა, ზოგი ევრიუჟინის ჯაირს ადარებდა, ზოგი გფრ-ის გუნდს წინასწარ ამარცხებდა ანგარიშით 2:0. ინტერვიუ მეტისმეტად უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. რა შორს იდგა ყოველი მისი სიტყვა ჭეშმარიტებისგან, რა მცდარ გზაზე აყენებდნენ ხელმძღვანელები ფეხბურთელებს ყველაზე დიდი, სერიოზული გამოცდის წინ. მაშინღა მიწყნარდნენ, როცა მეხიკოში მეშვიდე ცას მოსწყდნენ და მოულოდნელად ისევ ჩვენს ცოდვილ მიწაზე აღმოჩნდნენ.

დღეს ნათელი გახდა, რომ საბჭოთა ნაკრებს არ უნდა ჰქონოდა საპრიზო ადგილზე გასვლის პრეტენზია. რატომ? იმიტომ, რომ „იმ კლასის გუნდი არ იყო", — როგორც მოკლედ და კატეგორიულად განსაზღვრა გ. კაჩალინმა.

სიმართლეს არაფერი სჯობია, მაგრამ ადრე რას ფიქრობდნენ გუნდის ხელმძღვანელები? ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. ნაკრების ხელმძღვანელებმა უპატიებელი შეცდომა დაუშვეს მსოფლიო ფეხბურთში ძალთა რეალური თანაფარდობის შეფასებაში. ერთია ჩვეულებრივი, ყოველდღიური შეცდომა, მაგრამ საბჭოთა ფეხბურთის მესვეურებს მთავარი გამოეპარათ, ძირითადი ვერ შენიშნეს.

ეს ყველაფერი არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება კაცს მოეჩვენოს. ფეხბურთს ფეხბურთელები განასახიერებენ, არ შეიძლება მსოფლიო რანგის უვარსკვლავებოდ მსოფლიო კლასზე აცხადებდე პრეტენზიას. ჩვენ არ გვყავდა საკუთარი პელე და ბეკენბაუერი. ადრე საყოველთაოდ ცნობილი ფორვარდები და ჰავბეკები მაინც გვყავდა. ახლა კი ნაკრებში აღარ არიან სრულფასოვანი მოთამაშეები მესხის, ივანოვის, სტრელცოვის, მეტრეველის, ნეტოს, ვორონინის ადგილებზე. რისი იმედი ჰქონდათ ნაკრების მესვეურებს, როცა მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებაზე ფიქრობდნენ? განა არ უწყოდნენ, რომ ნაკრები ტალანტებით ღარიბდა? არ შეიძლებოდა ეს. უბრალოდ, საჭიროდ აღარ მიაჩნდათ ტალანტები. მათთვის ალბათ თავად ეს ცნება შეიცვალა. ნაკრების მესვეურები თავს იმშვიდებდნენ იმ ილუზიით, რომ ვარსკვლავები, როგორც თამაშის უმაღლესი კლასის საწინდარი, ფეხბურთის გუშინდელი დღეა.

ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიელთა მარცხისა და ევროპული ფეხბურთის გამარჯვების შთაბეჭდილების ქვეშ ზოგიერთმა ჩვენმა სპეციალისტმა და ჟურნალისტმა იჩქარა ახალი საფეხბურთო ერის დასაწყისის გამოცხადება. აქაოდა, დადგა დრო, როცა თამაშის კარგი ორგანიზაცია მთავარი გახდა და ვარსკვლავები რაღაც ანარქიულ-ინდივიდუალისტური საწყისის სახით მინდორზე დაბრკოლებად იქცნენო. აქაოდა, ვარსკვლავების გუნდები შეცვალეს თვით გუნდებმა-ვარსკვლავებმაო (რომლებშიც მთავარ პირობად ის გვევლინება, რომ ვარსკვლავები არა ჰყავთ).

მიაჩნდათ, რომ დადგა ახალი ფორმაციის ფეხბურთელთა დრო. მიაჩნდათ, რომ ჩვენ მდიდარი ვიყავით ასეთი ფეხბურთელებით და ამიტომ ყველას ვაჯობებდით თამაშის ორგანიზაციაში. პიროვნებისა და კოლექტივის ასეთი დაპირისპირება იყო მთავარი შეცდომა, რამაც უსწოროდ წარმართა საბჭოთა ფეხბურთის განვითარება ამ ბოლო დროს და, ვიდრე შევეხებოდეთ ახალი ტიპის ფეხბურთელის მოდელს, რომელიც ფეხბურთის მოდების კანონმდებლებს ესახებათ, ნება მომეცით მოკლედ მაინც შევეხო მათს კონცეპციებს ფეხბურთში.

მწვრთნელის დიქტატის ფეხბურთი. წინასწარ დამუშავებული და დავალებული მანევრები—აი, პანაცეუმი. თუ მოძრაობით აჯობებ და შებოჭავ მეტოქეს, მოქმედების თავისუფლებას მიიღებ, თუ მასობრივი დაცვის ორგანიზაციით გაუსწარი მეტოქის იერიშის ორგანიზაციას, ან, პირიქით, იერიშის ორგანიზაციით ჩამოიტოვე მოწინააღმდეგის დაცვის ორგანიზაცია, ეს უკვე გამარჯვებაა. ესე იგი, სისწრაფე, სისწრაფე! ნაკლები ფიქრი და დაკვირვება, გადაცემები მხოლოდ წინ, ძირს პაუზები შუა მინდორში.

რა ანელებს თამაშს? შეუთანხმებლობა, მიმოიხედ-მოიხედავ, დავფიქრდები, გადავწყვეტ — საამისოდ დროის დაკარგვა ზედმეტი ფუფუნებაა. ამიტომ ჩქაროსნული ფეხბურთი, მსხვილპანელიან მშენებლობათა მსგავსად, ტიპიური მოქმედების სტანდარტულ დეტალებს ამჯობინებს, სადაც შეთანხმებული და სწრაფი მოძრაობები მიიღწევა თითქმის მათი ავტომატურობით — დამუშავებული და ათვისებული სქემებით.

სისწრაფე, სისწრაფე და ამტანობა — აი, რა არის საჭირო, რათა სხვებზე სწრაფად განუწყვეტლივ იმოძრაო მთელს მინდორზე და თამაშის ყველა ფაზაში მიიღო მონაწილეობა. მაგრამ ყველა ფაზაში მონაწილეობისთვის მათთვის დამახასიათებელ ყველა ოპერაციასაც დაუფლებული უნდა იყო. აქედან გამომდინარე, თამაშის ინტენსიფიკაცია და ფეხბურთელთა უნივერსალიზაცია ფეხბურთის ახალ და ბოლო სიტყვად იქცა.

კაცმა რომ თქვას, რა არის აქ ახალი და მხოლოდ ფეხბურთისთვის დამახასიათებელი? საერთოდ, სპორტი შეუფერხებლად ვითარდება სწორედ ამ მიმართულებით. ფეხბურთის შესახებ კი აი, რას წერდა ბ. არკადიევი 20 წელზე მეტი ხნის წინ თავის „ფეხბურთის თამაშის ტაქტიკაში": „ტაქტიკური თვალსაზრისით ფეხბურთის საბჭოურმა სკოლამ გამოხატულება ჰპოვა დღეს ჩვენში საყოველთაოდ მიღებულ სისტემაში, რომელსაც მე ინტენსიური თამაშის სისტემას დავარქმევდი... ჩვენი ტაქტიკური სისტემის არსი „ქანცის გაწყვეტამდე" თამაშში მდგომარეობს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ამგვარად წარვმართავთ თამაშს... რათა გუნდის ყოველ სათამაშო ოპერაციაში მოთამაშეთა მაქსიმალურ რიცხვს ვიყენებდეთ... ამასთან, ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ჩვენს ფეხბურთში გადამწყვეტი მომენტია არა მოთამაშეთა განაწილება, რაც ხშირად თამაშის მხოლოდ საწყის მომენტად გვევლინება, არამედ მინდორზე მოთამაშეთა მოძრაობის სისტემა... ერთდროულად ამ ინტენსიფიკაციის შედეგი აღმოჩნდა გუნდის შემტევი და დაცვითი ძალის ზრდა. ეს მოხდა როგორც მეტოქის კარზე იერიშის, ისე საკუთარი კარის დაცვაში მონაწილე მოთამაშეთა რიცხვის ზრდის ხარჯზე... თამაშის ამ ინტენსიფიკაციის პირდაპირი შედეგი აღმოჩნდა გუნდის წევრების ნაკლები „შრომის განაწილება", აქედან — მათი მრავალმხრივობა".

როგორც ხედავთ, ამ ნაწყვეტში ყველაფერია მოცემული — ინტენსიფიკაციაც და უნივერსალიზაციაც. თან, ყოველივე ამას განაპირობებს მინდორზე გაშლილ შემტევ და დაცვით ოპერაციებში აუცილებელი მონაწილეობა დიდი ძალებით, შემტევ მოქმედებებში თუ არა, დაცვაში მაინც. არკადიევის მაშინდელ ნათქვამს ახლაც სიტყვასიტყვით იმეორებს თვითონ ისიც და ბევრი სხვაც. მაშ რაშია აქ ახალი სიტყვა? ინტენსიფიკაცია მუდმივი საზრუნავია და არა ერთ-ერთი მორიგი საკითხი.

რასაკვირველია, ინტენსიურობა ამ ხნის მანძილზე გაიზარდა. შეიცვალა მისი გარეგნული სახეც და შინაარსიც. მაგრამ თავად მისწრაფება თამაშის ინტენსიფიკაციისკენ დღევანდელი დღის გამონაგონი არ არის. მასშია მოცემული სპორტის ბუნება, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ, რომელიც უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ რომლის ზურგს უკანაც არ შეიძლება დღევანდელ საჭირბოროტო პრობლემებს დავემალოთ. სიახლე მდგომარეობს არა ინტენსიფიკაციაში, როგორც ასეთში, არა უნივერსალიზაციაში, არამედ იმაში, რომ ვულგარულად არც ერთი ცნება უნდა გვესმოდეს და არც მეორე. იმ მიზნით, რომ ინტენსიფიკაცია მაინცდამაინც და მხოლოდ დღევანდელი დღის საკითხად მიეჩნია, ერთმა საკმაოდ ცნობილმა ჟურნალისტმა დაწერა, თითქოს ადრე ფეხბურთელები მინდორზე გაუნძრევლად იდგნენ, ბურთს მაღლა აგდებდნენ და ელოდნენ, როდის ჩამოვარდებოდა. ამ ჟურნალისტმა შავით თეთრზე დაწერა „ნედელიაში", რომ „ნებისმიერ ჩვენს თანამედროვე ფორვარდს შეუძლია მარტოდმარტომ აჯობოს ძველ მთელ გუნდს". ეს რომელ, კანუნიკოვების, ბატირევების, ბუტუსოვების, სელინების, გრიგორიევების გუნდს? აღარას ვამბობ უფრო გვიანი პერიოდის ფეხბურთელებზე. ამ რევერანსების მაგიერ სჯობდა იმ ჟურნალისტს თავის წერილში დასახელებული ოსიანინისთვის, პროსკურინისთვის, კოხისთვის ეთქვა, რომ ა. დემენტიევი, მაგალითად, უბადლო დრიბლიორი იყო და მართლაც შეეძლო მინდორზე არა ერთი და ორი ფეხბურთელი მოეტყუებინა.

ჟურნალისტი კიდევ ჰო. მაგრამ გამოიძებნა მწვრთნელი, რომელიც ამტკიცებს, რომ ახლანდელი „ბ" კლასი გუშინდელი „ა" კლასია, რომ მისი მოწაფეები — „ბ" კლასის მოთამაშეები ოსტატობით სჯაბნიან მისსავე ძველ კერპებს — კარცევსა და ბესკოვს.

ასეთმა სიცრუემ, წარსულისადმი ასეთმა უპატივცემლობამ შეიძლება სულ დაუბნიოს გზა ახალგაზრდებს. ეჭვი არ არის, ფეხბურთის საშუალო დონე დღეს გაცილებით მაღალია. მაგრამ ისიც სრული ჭეშმარიტება გახლავთ, რომ წარსულში ბრწყინვალე საფეხბურთო ანსამბლები გვინახავს. წარსულში იყვნენ შესანიშნავი ფეხბურთელები — ნამდვილი კერპები, რომელთაც შეეძლოთ ტრიბუნების ნამდვილ აღტაცებაში მოყვანა. სამწუხაროდ, დღეს ასეთ ფეხბურთელებს ვეღარ ვხედავთ და მოუთმენლად ველით მათს გამოჩენას.

ზემოთქმული უმიზეზოდ არ მომხდარა. ამას ჩვენ ბევრად უნდა ვუმადლოდეთ ინტენსიფიკაციითა და ყბადაღებული უნივერსალიზაციით ცალმხრივ გატაცებას. მინდორზე საერთოდ მეტი მოძრაობითა და სისწრაფითაა საჭირო ბრძოლა, რადგან სწორედ აქ იმალება თამაშის გაძლიერების დამატებითი რეზერვები. მაგრამ ქანცის გაწყვეტამდე თამაშის აბსოლუტად ქცევა ნიშნავს იმის დავიწყებას, რომ კლასი, ოსტატობა ძალთა რეგულირების, აწონ-დაწონის, ეკონომიის უნარით იწყება. ოსტატობა ეს გახლავთ ეკონომიურობა უმაღლეს ეფექტურობასთან ერთად. ჩვენ სწორედ ეს ჭეშმარიტება დავივიწყეთ.

მეტი სისწრაფისთვის ჩვენმა ფეხბურთმა სადღაც მექანიკური გათამაშება და გამარტივებული ტექნიკა ამჯობინა. წინასწარ ნასწავლი ორ და სამსვლიანი კომბინაციები, მუდამ მიწაზე მოტრიალე ბურთი — ეს, რასაკვირველია, ხელს უწყობს სწრაფ მოქმედებას.

შიდასაკავშირო შეჯიბრებებში, მეტოქე გუნდების შედარებით თანაბარი ოსტატობის დროს, მოძრაობაში მკვეთრად გამოხატული უპირატესობა შეიძლებოდა გადამწყვეტ ფაქტორად და კლასის მთავარ ნიშნადაც ქცეულიყო. თითქოს მოქალაქეობის უფლება მოიპოვა იმ აზრმა, რომ გამარჯვება განაღდებული აქვს იმ მხარეს, რომელიც სირბილში მეტ კილომეტრს დაფარავს. გუნდის ენერგია და თამაშის ენერგოტევადობა, ან, როგორც ერთმა სპეციალისტმა გამოთქვა, „სისწრაფეთა ჯამი, მოძრაობათა ჯამი", კლასის ნიშნად იქცა. მაგრამ ეს გამოსადეგი აღმოჩნდა მხოლოდ, ასე ვთქვათ, შინაგანი სვლისთვის, ვიდრე დაახლოებით ერთნაირი კლასის გუნდები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მეხიკოში კი უცებ აღმოჩნდა, რომ მსოფლიო ფეხბურთში სირბილით დაფარული ყველა კილომეტრი კი არ შედის სათვალავში, არამედ მხოლოდ ის მანძილი, რომელიც სასარგებლოდაა გამოყენებული.

ნათელია, რომ, რაც უფრო მნიშვნელოვანია მეტოქის უპირატესობა ტექნიკასა და ტაქტიკაში, მით უფრო წვალდები ბურთის წართმევის, მიღებისა და გადაცემის ცდაში. კლასში სხვაობა მთელი თავისი ძალით ქვევით ზიაქანებს მარგი ქმედების კოეფიციენტს. ვ. ივანოვმა შენიშნა, რომ ურუგვაელებთან შეხვედრაში ჩვენი ფეხბურთელები ხუთჯერ მეტს დარბოდნენ, მაგრამ აქედან 4/5 მაინც უნაყოფო გამოდგა.

აი, რას გადააწყდა საბჭოთა ფეხბურთი მოძრაობის ძიებაში. როცა მსოფლიო სარბიელზე გამოდიხარ, არ შეიძლება შინაური საზომით მიუდგე თავს. არ შეიძლება ინტენსიფიკაცია თამაშის კლასთან უკავშიროდ განვიხილოთ. ნუთუ მეხიკოში მიღებული გაკვეთილი უნაყოფოდ ჩაივლის? ზოგიერთი ჟურნალისტი ისევ დაუბრუნდა ძველ ჰანგს. დღეს ისევ შეიძლება ნებისმიერ საშუალო მატჩზე დაწერილ წერილს გაუკეთონ ასეთი მყვირალა სათაური: „რთული სიმარტივე", რაც მექსიკაში ნანახი ამბების შემდეგ, მეტი რომ არა ვთქვათ, პაროდიულად ჟღერს. დღესაც ხშირად გამოთქვამენ აღტაცებას საერთაშორისო საზომით უპერსპექტივო თამაშის გამო.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ საუბრის ძირითად თემას. მაშ ასე, მოძრაობაში მოგებისთვის თამაში გამარტივდა. რაღა გასაკვირია, რომ ფეხბურთელებიც გამარტივდნენ? მით უმეტეს, იმავე უნივერსალიზაციასთან დაკავშირებით.

საერთო მოძრაობა... ყოველ ფეხბურთელს თამაშის მანძილზე ათასჯერ უწევს მინდვრის თითქმის ყველა კუთხეში ყოფნა, პარტნიორებთან ადგილის გაცვლა, როლების შეცვლა მეტოქესთან ორთაბრძოლისას და ამხანაგებთან შრომის განაწილებისას. სამწუხაროდ, ჩვენშიც შემოვიდა მოდაში ასეთი უნივერსალი ფეხბურთელის მოდელი. ასეთ მოთამაშეს ერთნაირად უნდა შეეძლოს ყველა უბანზე თამაში, ყველა დავალების შესრულება. მაგრამ რას ნიშნავს ეს „ერთნაირად?" როგორი უნდა იყოს ასეთი ფეხბურთელის ოსტატობა?

ყველა ადამიანს თავისი მონაცემები, მიდრეკილებები და უნარი აქვს. ფეხბურთში ლეონარდო და ვინჩი არ შეიძლება არსებობდეს. ეს ყოვლის მცოდნე ფეხბურთელები საბოლოო ჯამში ბევრად ჩამოუვარდებიან კარგ თავდამსხმელს მის სტიქიაში — თავდასხმაში, კარგ მცველს კი მის სტიქიაში — დაცვაში. **ყველაფერში ერთნაირობა ყველაფერში საშუალო დონეს ნიშნავს.** სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანს საბჭოთა ფეხბურთში სწორედ ამ საშუალო, დავალების უსიტყვოდ შემსრულებელ მუშა ფეხბურთელებს ენიჭებათ უპირატესობა.

ასე არ შეიძლება გაგრძელდეს. უნივერსალიზაციის ვულგარული გაგება და რეზერვის მცდარი გზით წარმართვა დამღუპველ გავლენას ახდენს ტალანტების მატებაზე. ყველა ჩვენგანი გამსჭვალული უნდა იყოს ერთი რწმენით: ჭეშმარიტად დიდი ფეხბურთელების გარეშე ნამდვილი, დიდი ფეხბურთი არ არსებობს!

გ. მდივანი.

## ႠႾႠႪႨ ႠႫႡႤႡႨ

● **ტალინი**, 26 ნოემბერი. აქ მიმდინარეობს ასუჯრიან შაშში სსრ კავშირის პირველობა. VII ტურში პირველი გამარჯვება იზეიმა მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონმა კუპერმანმა (კიევი). მან დაამარცხა ლენინგრადის ჩემპიონი გოლოსუევი. მსოფლიო ჩემპიონმა ანდრეიკომ (რიგა) უპირატესობას მიაღწია დონეცკელ მეცხრეკლასელთან მეშჩანსკისთან, მაგრამ ჭაბუკმა მოშაშემ შეძლო მრისხანე მეტოქესთან გამკლავება და ეს პარტია ყაიმით დასრულდა. სსრ კავშირის ჩემპიონმა, მინსკელმა განტვარგმა დაამარცხა ხარკოველი ციპესი, მოსკოველმა შჩოგოლევმა — ტაშკენტელი დავიდოვი, ლენინგრადელმა რაცმა — თანაქალაქელი გერშტი. ყაიმით დამთავრდა პარტიები: მ. კორხოვი — კაპლანი, შაუსი — შაველი, ე. კორხოვი — მოგილიანსკი, მერინი — ოგოროდნიკოვი. VIII ტურში გერშტმა მოუგო გოლოსუევს, ხოლო შაუსმა — ე. კორხოვს. ყაიმით დამთავრდა პარტიები: შჩოგოლევი — კუპერმანი, ანდრეიკო — განტვარგი, კაპლანი — ოგოროდნიკოვი, მერინი — დავიდოვი, მოგილიანსკი — მეშჩანსკი, ციპესი — მ. კორხოვი, შაველი — რაცი. 8 ტურის შემდეგ კვლავინდებურად ლიდერობენ ანდრეიკო და მ. კორხოვი — 5,5-5,5 ქულა.

● **ლვოვი**, 26 ნოემბერი. ადგილობრივ სპორტის სასახლეში გამართულ საპატიო კვარცხლბეკზე აშკარად შეცბუნებული მოფარიკავე დგას. უკრაინის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სახელით მას სამახსოვრო მედალს გადასცემენ. ასეთ საზეიმო ვითარებაში გააცილეს — სამწვრთნელო მოღვაწეობისკენ დაულოცეს გზა საბჭოთა ფარიკაობის ვეტერანს, საერთაშორისო შეჯიბრებებში მრავალგზის გამარჯვებულს, მსოფლიო ჩემპიონ ე. რიუმინს. საფარიკაო ბილიკზე გატარებული 20 წლიდან მან 12 წელიწადი სსრ კავშირის ნაკრებს შეალია, რომელიც არც ერთხელ არ დაუღალატებია. ახლა კი რიუმინმა უკრაინის მოფარიკავეთა აქ გამართულ პირად-გუნდურ ჩემპიონატში იასპარეზა — უკანასკნელად გამოვიდა რაპირისტთა გუნდის შემადგენლობაში. 7 შეხვედრიდან მან ხუთში იმარჯვა.

● **პანევეჟისი**, 26 ნოემბერი. ლიტვის ამ ქალაქში დაიწყო მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერეს ბადმინტონისტთა დიდი საკავშირო შეჯიბრება. ტურნირი ოლიმპიური სისტემით ტარდება. მეოთხედფინალში ე. ბლიტშტეინმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა ს. როზინი. ქალთა წყვილების თანრიგში გ. გრინბერგსა (რიგა) და ვ. ციუპას (ბაქო) დუეტმა სძლია ლენინგრადელებს ა. ზვონარიოვასა და ზ. ტიმოშენკოს — 2:0. დანარჩენ ორთაბრძოლებში მოასპარეზეთა ძალები ერთობ უთანაბრო იყო, ვინაიდან 64 მოასპარეზეში ისეთებიც იყვნენ, რომელთაც საკავშირო საკლასიფიკაციო სიებში არც თუ მაღალი ადგილები უჭირავთ და სსრ კავშირის ჩემპიონებთან და „ათეულების" ბინადრებთან მოუწიათ თამაში.

● **ლუნდი** (შვეცია), **26 ნოემბერი.** მაგიდის ჩოგბურთში ევროპის ლიგის ბოლო პირველობაში გამარჯვებულმა შვედებმა თავიანთ აქტივში მეორე მოგება ჩაიწერეს — ახალი გათამაშების მორიგ მატჩში აქ ანგარიშით 5:2 დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრები, თანაც, მასპინძელთა გუნდს აკლდა დაშავებული ჰ. იუჰანსონი — ევროპის ორგზის ჩემპიონი. შეხვედრები ასე დამთავრდა: **ვაჟთა ერთეულები.** ალსერი (შვეცია) — ორლოვსკი 21:17, 21:11, ბენგტსონი (შვეცია) — კუნცი 21:13, 22:24, 21:15, ალსერი—კუნცი 21:19, 21:12, ბენგტსონი—ორლოვსკი 14:21, 13:21; **ქალთა ერთეულები.** ანდერსონი (შვეცია) — ვოშტოვა 18:21, 21:13, 12:21; **ვაჟთა წყვილები.** ბენგტსონი, პერსონი—ორლოვსკი, ტურაი 21:16, 22:20; **შერეული წყვილები.** ბენგტსონი, ანდერსონი — ტურაი, ვოშტოვა 16:21, 21:16, 21:14.

● **კაუნასი**, 26 ნოემბერი. **გუშინ აქ დაიწყო მაგიდის ჩოგბურთის ოსტატთა საკავშირო შეჯიბრება. პირველ წარმატებებს მიაღწიეს ბ. ანისიმოვამ, ლ. გრიშინამ, ა. ამელინმა, ს. სარხოიანმა და ადგილობრივი მაყურებლების გასახარად — მათმა თანაქალაქელმა ალდონა სკარულენემ.**

● **ტიმიშოარა**, 26 ნოემბერი. რუმინეთის ამ ქალაქში სტარტი აიღო ხელბურთელ ქალთა ტრადიციულმა საერთაშორისო შეჯიბრებამ „კარპატის თასზე". სსრ კავშირის ნაკრები პირველ მატჩში მსოფლიო ჩემპიონს — უნგრეთის ეროვნულ გუნდს შეხვდა. საბჭოთა სპორტსმენებმა მხოლოდ ბოლო წუთებში მისცეს მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა — 11:11 (8:6). უნგრელთა კარში 7 გოლი გაიტანა ბობროვამ. კარგად იცავდა კარს სოკოლოვა, რომელმაც ბევრი უმძიმესი ბურთი მოიგერია. რუმინეთის ნაკრებმა მოუგო პოლონეთის გუნდს — 16:5 (8:4), გდრ-ის კოლექტივმა — რუმინეთის ახალგაზრდულ კოლექტივს — 19:8 (9:5), ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა გუნდმა — იუგოსლავიის ნაკრებს — 13:12 (9:7).

# 38-ე საჭადრაკო...

რიგა, 27 ნოემბერი. ოფიცერთა სახლში გუშინ სტარტი აიღო სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 38-ე ჩემპიონატის ფინალმა. ტურნირმა მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა მიიზიდა. უმრავლესობამ აქ თამაშის უფლება შესარჩევ შეჯიბრებებში მოიპოვა.

ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა ბ. ბარანოვმა წინადღით კენჭისყრა ჩაატარა. მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ:

1. დიდოსტატი ლ. შტეინი (კიევი), 2. ოსტატი ვ. კარასიოვი, 3. მ. ცეიტლინი (ორივე — ლენინგრადი), 4. დიდოსტატი ვ. ლიბერზონი (მოსკოვი), 5. დიდოსტატი ვ. კორჩნოი (ლენინგრადი), 6. დიდოსტატი ი. ავერბახი (მოსკოვი), 7. დიდოსტატი ი. პლატონოვი (კიევი), 8. ოსტატი ო. დემენტიევი (კალინინგრადი), 9. დიდოსტატი ა. გიპსლისი (რიგა), 10. ოსტატი ვ. დოროშკევიჩი (გროზნო), 11. დიდოსტატი რ. ხოლმოვი (მოსკოვი), 12. საერთაშორისო ოსტატი ვ. სავონი (ხარკოვი), 13. დიდოსტატი ვ. ანტოშინი (მოსკოვის ოლქი), 14. საერთაშორისო ოსტატი ი. მოისეევი, 15. საერთაშორისო ოსტატი ი. ბალაშოვი (ორივე — მოსკოვი), 16. ოსტატი მ. პოდგაეცი (ოდესა), 17. საერთაშორისო ოსტატი ვ. ბაგიროვი (ბაქო), 18 საერთაშორისო ოსტატი ი. ზაიცევი (მოსკოვი), 19. ოსტატი რ. ვაგანიანი (ერევანი), 20. საერთაშორისო ოსტატი ვ. მიკენასი (ვილნიუსი), 21. საერთაშორისო ოსტატი ვ. ტუკმაკოვი (ოდესა), 22. დიდოსტატი ა. კარპოვი (ლენინგრადი).

I ტურში კორჩნოიმ მოუგო ზაიცევს, ლიბერზონმა — ვაგანიანს, ცეიტლინმა — მიკენასს, დოროშკევიჩმა — ანტოშინს, ხოლმოვმა — სავონს.

ყაიმით დამთავრდა შტეინ — კარპოვის, კარასიოვ — ტუკმაკოვის, პლატონოვ — პოდგაეცისა და დემენტიევ — ბალაშოვის შეხვედრები. ავერბახ — ბაგიროვისა და გიპსლის — მოისეევის პარტიები გადაიდო.

# გაემგზავრნენ

როგორც ვიუწყებოდით, 1 დეკემბერს იუგოსლავიის აგარაკ ვრნიაჩკა-ბანიაში იწყება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეორე გათამაშება მოჭადრაკე ქალთა შორის. ამ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად გუშინ იუგოსლავიას გაემგზავრნენ სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ნ. ალექსანდრია და მისი მწვრთნელი — საერთაშორისო დიდოსტატი ბ. გურგენიძე.

ტურნირი ვრნიაჩკა-ბანიაში 20 დეკემბრამდე გასტანს.

# ისევ ფიშერი!

**პალმა დე მალიორკის საზონათშორისო ტურნირი. მდგომარეობა 12 ტურის შემდეგ: რ. ფიშერი (აშშ) — 8,5 ქულა, ე. გელერი (სსრ კავშირი) — 8, ვ. ულმანი (გდრ), რ. ჰიუბნერი (გფრ) — 7,5-7,5, ლ. პოლუგაევსკი (სსრ კავშირი), ს. გლიგორიჩი, ბ. ივკოვი (ორივე — იუგოსლავია), ო. პანო (არგენტინა), ბ. ლარსენი (დანია), ლ. პორტიში (უნგრეთი), ე. მეკინგი (ბრაზილია) — 7-7, მ. ტაიმანოვი (სსრ კავშირი), დ. მინიჩი (იუგოსლავია) — 6,5-6,5, ვ. სმისლოვი (სსრ კავშირი), ტ. უიტუმენი (მონღოლეთი) — 6-6.**

ყველა მოუთმენლად ელოდა გადადებული პარტიების დამთავრების შედეგებს. ზოგიერთ მონაწილეს 3, ზოგიერთს კი 4 პარტია ჰქონდა გადადებული.

როცა ფიშერი და გელერი საჭადრაკო მაგიდას მიუსხდნენ XII ტურის პარტიის დასამთავრებლად, არავის ეეჭვებოდა, რომ ამერიკელი მოჭადრაკე მცირე უპირატესობის რეალიზებისთვის ენერგიას არ დაიშურებდა.

გელერმა ზუსტად ვერ წარმართა ბრძოლა, ვერ გამოიყენა ეტლების ენდშპილში არსებული ყაიმის შანსი, 66-ე სვლაზე შეცდა და დამარცხდა. ეს იყო გელერის პირველი წაგება ტურნირში.

ფიშერს კიდევ ორი პარტია ჰქონდა სათამაშო. იგი დანებდა ლარსენს უიმედო პოზიციაში და ყაიმზე შეუთანხმდა მ. მატულოვიჩს (იუგოსლავია).

ლარსენმა კიდევ 3 პარტია დაამთავრა: მოუგო მ. ფილიპს, წააგო ვ. ჰორტთან (ორივე — ჩეხოსლოვაკია) და ყაიმს დასჯერდა ჰიუბნერთან. სხვათა შორის, ჰორტმა პირველად იზეიმა გამარჯვება. მერე მან სძლია ს. ნარანიას (ფილიპინები).

ლარსენთან პარტიის გარდა ჰიუბნერს 3 დაუმთავრებელი პარტია ჰქონდა: ს. რეშევსკისთან (აშშ), მატულოვიჩთან და ნარანიასთან. ახალგაზრდა ოსტატმა სამივე შეხვედრა მოიგო. ამ წარმატებამ იგი ლიდერთა ოთხეულში გაიყვანა.

2 პარტია დაამთავრა პანომ. ჰორტთან ყაიმის შემდეგ იგი გლიგორიჩთან დამარცხდა.

პოლუგაევსკიმ მოუგო ფილიპს, უ. რუბინეტიმ (არგენტინა) — ე. ხიმენესს (კუბა), ხოლო მინიჩმა რეშევსკისა და რუბინეტის. ყაიმით დასრულდა სმისლოვ — მატულოვიჩის შეხვედრა.

26 ნოემბერს ტურნირის მონაწილენი ისვენებდნენ.

ცხრილს რომ დააკვირდეთ, შეამჩნევთ: ყველაზე მეტი მოგება აქვთ ფიშერს (6), გელერსა და ულმანს (5-5). ჯერ არც ერთი პარტია არ მოუგიათ ფილიპსა და ხიმენესს, არც ერთი შეხვედრა არ წაუგიათ პოლუგაევსკისა და ივკოვს: ორივეს ათ-ათი ყაიმი და ორ-ორი მოგება აქვს. ზედიზედ ყველაზე მეტი პარტია (3) მოიგო ჰიუბნერმა, წააგო კი ხიმენესმა (4).

* * *

აი, როგორ დამთავრდა ფიშერ — ლარსენის შეხვედრა (გადადებული პოზიცია იხ. „ლელოს" 24 ნოემბრის ნომერში).

46. ...ეe3+ 47. მფb2 კd3 48. ეa1 კa6 49. ეc6 ე:b4+ 50. მფc2 კb7 51. ეc3 ეe2+ 52. მფd1 ეg2 ფიშერი დანებდა.

* * *

„ლელოს" წინა ნომერში შეცდომით აღვნიშნეთ, თითქოს ფიშერს გელერისთვის მიმდინარე საზონათშორისო ტურნირამდე პარტია არ მოუგია. სინამდვილეში (იხ. „ლელო", № 68) პალმა დე მალიორკაზე შეხვედრამდე მათ შორის ანგარიში იყო 8:8 (5 მოგება, 2 წაგება, 2 ყაიმი) გელერის სასარგებლოდ.

### მდგომარეობა 12 ტურის შემდეგ

| | № | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | ქულა | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პოლუგაევსკი (სსრკ) | 1 | | ½ | ½ | | | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | | | | | | | | | | ½ | 1 | ½ | 7 | |
| გელერი (სსრკ) | 2 | ½ | | | | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | 0 | | | | | | | | | | 1 | ½ | ½ | 1 | 8 | |
| ივკოვი (იუგოსლ.) | 3 | ½ | | | ½ | ½ | 1 | ½ | ½ | 1 | ½ | | | | | | | | | | ½ | ½ | ½ | ½ | | 7 | |
| მინიჩი (იუგოსლ.) | 4 | | | ½ | | 1 | ½ | 1 | 0 | 0 | | | | | | | | | | 1 | ½ | 1 | 0 | ½ | ½ | 6½ | |
| ხიმენესი (კუბა) | 5 | | ½ | ½ | 0 | | ½ | 0 | 0 | | | | | | | | | | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | | 0 | 2 | |
| უიტუმენი (მონღოლეთი) | 6 | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | | 1 | | | | | | | | | | ½ | 0 | 1 | 1 | 1 | | | 0 | 6 | |
| რუბინეტი (არგენტინა) | 7 | ½ | ½ | ½ | 0 | 1 | 0 | | | | | | | | | | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | | | 0 | | 4 | |
| ულმანი (გდრ) | 8 | ½ | 0 | ½ | 1 | 1 | | | | | | | | | | ½ | 1 | 1 | ½ | ½ | | | 0 | 1 | | 7½ | |
| ტაიმანოვი (სსრკ) | 9 | ½ | ½ | 0 | 1 | | | | | | | | | | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | | | ½ | 1 | ½ | | 6½ | |
| სათლზი (კანადა) | 10 | ½ | 0 | ½ | | | | | | | | | | ½ | ½ | ½ | 1 | 0 | | | ½ | 0 | ½ | ½ | | 5 | |
| ფიშერი (აშშ) | 11 | ½ | 1 | | | | | | | | | | 1 | 1 | ½ | 1 | 1 | | | 1 | ½ | ½ | 0 | ½ | | 8½ | |
| ფილიპი (ჩეხოსლ.) | 12 | 0 | | | | | | | | | | 0 | | ½ | ½ | 0 | | | ½ | ½ | ½ | ½ | 0 | 0 | ½ | 3½ | |
| ჰორტი (ჩეხოსლ.) | 13 | | | | | | | | | | ½ | 0 | ½ | | ½ | | | 0 | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | 0 | 0 | 5 | |
| ჰიუბნერი (გფრ) | 14 | | | | | | | | | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | | | 1 | ½ | 0 | 1 | 1 | 1 | ½ | | | 7½ | |
| სმისლოვი (სსრკ) | 15 | | | | | | | | ½ | ½ | ½ | 0 | 1 | | | | 1 | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | | | 0 | 6 | |
| ადისონი (აშშ) | 16 | | | | | | | 1 | 0 | ½ | 0 | 0 | | | 0 | 0 | | 1 | ½ | ½ | ½ | | | | ½ | 4½ | |
| გლიგორიჩი (იუგოსლ.) | 17 | | | | | | ½ | 1 | 0 | ½ | 1 | | | 1 | ½ | ½ | 0 | | 1 | ½ | | | | | ½ | 7 | |
| პანო (არგენტინა) | 18 | | | | | 1 | 1 | ½ | ½ | ½ | | | ½ | ½ | 1 | ½ | ½ | 0 | | | | | | | ½ | 7 | |
| რეშევსკი (აშშ) | 19 | | | | 0 | 1 | 0 | ½ | ½ | | | 0 | ½ | ½ | 0 | ½ | ½ | ½ | | | | | | | | 4½ | |
| მატულოვიჩი (იუგოსლ.) | 20 | | | ½ | ½ | 1 | 0 | ½ | | | ½ | ½ | ½ | ½ | 0 | ½ | ½ | | | | | | | | | 5½ | |
| ნარანია (ფილიპინები) | 21 | | 0 | ½ | 0 | 1 | 0 | | | ½ | 1 | ½ | ½ | 0 | 0 | ½ | | | | | | | | | | 4½ | |
| ლარსენი (დანია) | 22 | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | | | 1 | 0 | ½ | 1 | 1 | 0 | ½ | | | | | | | | | | | 7 | |
| პორტიში (უნგრეთი) | 23 | 0 | ½ | ½ | ½ | | | 1 | 0 | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | | | | | | | | | | | 1 | 7 | |
| მეკინგი (ბრაზილია) | 24 | ½ | 0 | | ½ | 1 | 1 | | | | | | ½ | 1 | | 1 | ½ | ½ | ½ | | | | | 0 | | 7 | |

# ფეხბურთის სამყაროში

ტაშკენტი, 26 ნოემბერი. მაშ ასე: ადგილობრივი „ფახთაქორის" სტადიონზე სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებისთვის 5 დეკემბერს გამართულ გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვის ცსკა და „დინამო". ეს ძალიან დაძაბული მატჩი იქნება: მეტოქეებს ფრე ხელს არ აძლევთ.

მაგრამ ხომ შესაძლებელია ძირითადი 90 წუთიცა და დამატებითი 30 წუთიც ფრედ დამთავრდეს? მაშინ არმიელები და დინამოელები მეორე დღეს ისევ გამოვლენ მინდორზე. თუ ამჯერადაც წინადღის ამბავი გამეორდა, მაშინ მსაჯი ხუთ-ხუთ არმიელსა და დინამოელს უხმობს, რომლებიც 11-მეტრიან საჯარიმო დარტყმებში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

წლევანდელი ოქროს მაძიებლები, 1936 წლიდან მოყოლებული, საკავშირო ჩემპიონატების მატჩებში 57-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. არმიელებმა 22 გამარჯვებას მიაღწიეს, დინამოელებმა — ერთით ნაკლებს. 14 მატჩი ფრედ დასრულდა. გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობაა 88:73 დინამოელთა სასარგებლოდ. წლეულს ამ გუნდების ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით დამთავრდა — 1:0. პირველ წრეში გაიმარჯვეს დინამოელებმა, მეორეში — არმიელებმა.

კოტბუსი, 26 ნოემბერი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში თავისი ტურნეს უხეირო სტარტის (2 წაგება) შემდეგ ცსკა-მ დასკვნით, მესამე მატჩში აქ ანგარიშით 1:0 დაამარცხა ადგილობრივი „ფორვერტსი". ეს ერთადერთი ბურთი მე-12 წუთზე გაიტანა პოლიკარპოვმა.

ბრიუგე, 26 ნოემბერი. ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში ბელგიის ნაკრებმა ანგარიშით 2:0 სძლია დანიის ეროვნულ გუნდს. ორივე ბურთი (მე-17 და 87-ე წ. წ.) გაიტანა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე დევრინდტმა. დანიელებმა უხეიროდ დაამთავრეს ტურნირის პირველი ნახევარი: V შესარჩევ ჯგუფში ისინი ყველა მეტოქეს ჩამორჩებიან. პორტუგალიისა და შოტლანდიის ფეხბურთელებთან დანიელები ერთნაირი ანგარიშით (0:1) დამარცხდნენ.

ლონდონი, 26 ნოემბერი. მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ინგლისის ნაკრებმა პირველად ჩაატარა მატჩი „უემბლის" სტადიონზე — ანგარიშით 3:1 დაამარცხა გდრ-ის გუნდი.

გერმანელთა კარში პირველი ბურთი მე-14 წუთზე გაიტანა ლიმ. 8 წუთის შემდეგ პიტერსმა მეორედ აიღო სტუმართა კარი. ამ მომენტიდან ინიციატივას გერმანელები დაეუფლნენ და 27-ე წუთზე ფოგელმა მასპინძლებს ცენტრიდან დააწყებინა თამაში. ინგლისის ნაკრების ახალგაზრდა მეკარე შილტონმა ორჯერ იხსნა თავისი კარი აშკარა გოლისგან. მერე კი პიტერსის მიწოდებით კლარკმა გერმანელთა კარში მესამე ბურთი გაიტანა.

ინგლისელთა რიგებში არ იყვნენ მეკარე ბენქსი და ძმები ჩარლტონები.

რომი, 26 ნოემბერი. იტალიის სპორტულ პრესაში სულ უფრო ხშირად იბეჭდება საყვედური ნაკრების უფროსი მწვრთნელის ვალკარეჯის მიმართ. გაზეთები წერენ: „დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს ჩვენი ნაკრების შემადგენლობა. ნაკრებში სასწრაფოდ უნდა შევიყვანოთ „მილანის" მოთამაშეები ბიასიოლო, ბენეტი და რივერა, მოვაშოროთ ბურგნიჩი, ბერტინი, სერა და სისტი"; „თუ ჩვენი ნაკრების შემადგენლობა არ გავაახალგაზრდავეთ, იგი ვერ შეძლებს ევროპის ჩემპიონატის ფინალისტთა შორის მოხვედრას".

მაგრამ ფერუჩიო ვალკარეჯი კლდესავით დგას: „სკუადრა აძურას" შემადგენლობას 2 წლის განმავლობაში არ შევცვლი. ყოველ შემთხვევაში, იმ მომენტამდე, სანამ ევროპის ჩემპიონის ტიტულს შევინარჩუნებთ. მხოლოდ მაშინ ვიფიქრებ ვეტერანთა შეცვლაზე. მანამდე კი ახალგაზრდა ფეხბურთელებმა გამოცდილება შეიძინონ".

რიო-დე-ჟანეირო, 26 ნოემბერი. აქ ხმა გავარდა, თითქოს ბრაზილიელ ფეხბურთელებს მეხიკოში ოქროს ქალღმერთი კი არა, მისი ასლი გადასცეს. ამის თაობაზე ბრაზილიური სპორტის კონფედერაციის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს განუცხადეს: „ჩვენთვის სულაც არ არის მთავარი, მექსიკიდან ჩამოტანილი ოქროს ქალღმერთი ნამდვილია თუ მისი ასლია. მთავარი ის გახლავთ, რომ ჩვენ საფეხბურთო მინდვრებზე მოვიგეთ მსოფლიო ჩემპიონის წოდება".

ასეთივე აზრისაა ბრაზილიის ნაკრების ტექნიკური ხელმძღვანელი ა. დო პასო: „ჩვენ არ გვაინტერესებს ლონდონიდან მოღწეული სხვადასხვა ცნობა თასის შეცვლის თაობაზე. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ, თუ ინგლისელები დედანს მიაგნებენ და ახალ გათამაშებას მოინდომებენ, ეს ჩვენთვის სულ ერთია. ჩვენ ისევ წავალთ საასპარეზოდ და შინ კვლავ ამ საპატიო ნადავლით დავბრუნდებით. ერთი სიტყვით, რაც უნდა ილაპარაკონ".

ციურიხი, 26 ნოემბერი. თავის ყოველთვიურ ბიულეტენში ფიფა-მ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ პრესაში მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატს არასწორად უწოდებენ „მიუნხენის მსოფლიო თასს". ამასთან დაკავშირებით ფიფა მოითხოვს, რომ მომავალი შეჯიბრება ამიერიდან ასე იწოდებოდეს: „1974 წლის მსოფლიო თასი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში".

მოკლე დროში დამზადდება ახალი პრიზი (ოქროს ქალღმერთი, როგორც ცნობილია, სამუდამოდ დაბინავდა ბრაზილიაში), რომელსაც დაერქმევა: „ფიფა. მსოფლიოს თასი".

ამავე ბიულეტენში ნათქვამია, რომ 1972 წლის ოლიმპიურ ტურნირში პირველად დაწესდება „სამართლიანი თამაშის თასი", რაც, ფიფა-ს აზრით, ხელს შეუწყობს ფეხბურთის „სიწმინდეს".

„სამართლიანი თამაშის" კონკურსის პირობები ასეთია: არავითარი შენიშვნები მატჩის მსაჯისა და ფიფა-ს მეთვალყურეთა მოხსენებით ბარათებში — 0 ქულა; მოთამაშის გაფრთხილება, რასაც დისციპლინარული კომისია დაამტკიცებს — 2 საჯარიმო ქულა; მოთამაშის გაძევება მინდვრიდან — 3 საჯარიმო ქულა; კაპიტნის გაფრთხილება მთელი გუნდის მისამართით — 5 საჯარიმო ქულა; თუ მოთამაშე მსაჯის უნებართვოდ დატოვებს მინდორს — 2 საჯარიმო ქულა; თუ მთელი გუნდი დატოვებს მინდორს — 22 საჯარიმო ქულა.

პრიზს, ცხადია, ის გუნდი დაიმსახურებს, რომელსაც ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა დაუგროვდება.

რედაქტორი შ. ჭაჭაბაძე.

**თბილისი სპორტულ ხაზზე**

**სასტენდო სროლა.** ვარკეთილის სასროლეთი. 28-29 ნოემბერი. საკავშირო შეჯიბრება — ჩემპიონთა ტურნირი. დასაწყისი 10 ს.

**ტყვიის სროლა.** ავჭალის სასროლეთი. 28 ნოემბერი-3 დეკემბერი. შეიარაღებულ ძალთა საკავშირო პირველობა. დასაწყისი 10 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8( უე 18340